

Oriental World in a Modern Novel
(Based on the Novels by Jean Sasson)

აღმოსავლური სამყარო თანამედროვე რომანში
(ჯინ სესონის რომანზე დაყრდნობით)

Tamila Davitadze
Batumi Shota Rustaveli State University
(Georgia)

თამილა დავითაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
(საქართველო)

Abstract:

In the cultural sciences, the West and the East are seen as two fundamentally different types of worldview and social order; “They constantly interact, assimilate each other's values, enrich each other“ – says researcher J. Stidman. If earlier it was thought that Eastern and Western cultures did not intersect, as the famous English writer R.S. "The West is the West, the East is the East, and they will never meet," Kipling said.

West and East are distinguished by many characteristics, including a view of the world and the definition of a person's place in it. The novel "Princess Diaries" by the American writer Jean Sesson tells the story of these two different worlds, which are works of the epistolary genre characteristic of Western literature. In it, an Arab princess tells the story of the unjust status of Arab women in the form of diaries. One of the main problems of modern life is the so-called gender problem, which was talked about openly in the 70s of the 20th century. An unusually bold woman who can resist an unjust tradition. The own voice of the author is lost in the work, we can assume that it has each narrator, which is one of the distinctive features of postmodern literature.

Based on an ideological-artistic analysis of literary Orientalism, the work "Oriental World in a Modern Novel" discusses the interplay of Eastern and Western traditions, the status of women, their role and struggle against injustice, disenfranchisement, the topic of historical East-West culture and the issue of confrontation.

Keywords: Confrontation of Cultures; Eastern World; Modern Novel; Arabian Princess

საკვანძო სიტყვები: კულტურათა კონფრონტაცია; აღმოსავლური სამყარო; თანამედროვე რომანი; არაბი პრინცესა

თანამედროვე ლიტერატურის ძირითადი ტენდენციების მიხედვით, ერთ-ერთ მთავარ თემად ისევ ქალთა ყოფა, გენდერის საკითხი რჩება, განსაკუთრებით კი აღმოსავლურ სამყაროში, რომელსაც აქტიურად აშუქებენ თანამედროვე მწერლები, მათ შორის ამერიკელი ჯინ სესსონი. საკმაოდ ამაღელვებელია თემები, რომელსაც იგი ეხება და აქვე დავძენ, მოითხოვს სათანადო ყურადღებას და ძალისხმევას, რადგან, უსამართლობის და უფულებობის წინააღმდეგ ხმის ამაღლება, ყველას ვალია. ჯინ სესსონის ნაწარმოებზე დაყრდნობით, იდეურ-მხატვრული ანალიზის საფუძველზე, ლიტერატურული ორიენტალიზმის ფარგლებში, განვიხილავ რა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ტრადიციების ურთიერთზეგავლენას, აღმოსავლეთ-დასავლეთის შეხვედრის თემას და კულტურათა კონფრონტაციის საკითხს, წარმოვაჩინ ქალის მდგომარეობას, რომლის შეცვლაც ლიტერატურულ გმირს მკითხველის დახმარებით სურს.

ამერიკელი მწერალი, ჯინ სესსონი 1978-1991 წლებში საუდის არაბეთში, ერთ-ერთი იმყოფებოდა და 4 წელი ერთ-ერთი ჰოსპიტლის ადმინისტრაციაში, კოორდინატორად მუშაობდა; გარკვეული პერიოდი ერაყშიც დაჰყო და კუვეიტის თემას შეეხო; საუდის არაბეთში ყოფნისას უშუალოდ და ღრმად გაეცნო ქალთა ყოფას, მათ პრობლემებს. 1983 წელს იტალიაში ყოფნისას, საელჩოში გაიცნო საუდის არაბეთის ერთ-ერთი პრინცესა, რომლის სახელს თავად ავტორი არ ასაჯაროებს და პირობითად, მოიხსენიებს როგორც „სულთანას“. მოგვიანებით, პრინცესამ სესსონს პირადი დღიური და ჩანაწერები გადასცა, სადაც საუდის არაბეთის ქალთა ყოფის შესახებაა მოთხრობილი. გარკვეული პერიოდის შემდგომ, მწერალმა მისი თვალით და ნახული აღმოსავლური სამყარო სულთანას და მისი დების მაგალითზე აღწერა, რომელიც 7 წიგნად გამოიცა; რომელთაგან ამჯერად,

„პრინცესას დღიურებს“ განვიხილავთ; ამდენად, ამ წიგნებს დიდი მნიშვნელობა და მისია აკისრია, მიაწვდინონ ამ ფორმით ხმა დანარჩენ სამყაროს; საკითხის შესწავლისას, ყურადღება ეთმობა მთავარი გმირის ხასიათს, ბუნებას, მოქმედებას, რადგან, აქ, ქალი-პერსონაჟი, თავისი ბრძოლისუნარიანობით, შეუვალობით, პრინციპულობით, თავისუფლებისადმი ლტოლვით, არსებულისადმი შეურიგებლობით და დაპირისპირებით დასავლური რომანის ტიპიურ სახედ გვევლინება, თუმცა, იგი აღმოსავლურ სამყაროს ეკუთვნის და მის სინამდვილეს გადმოგვცემს.

როგორია დასავლეთისთვის ზოგადად აღმოსავლეთი? კანტს თუ მოვიშველიებთ: დასავლეთისთვის ჭეშმარიტი აღმოსავლეთი უცხო ფენომენია: „თავისთავადი საგანი, დიადი, შეუცნობელი“. არც ის არის შემთხვევითი, რომ დასავლელი მწერლების გატაცებული არიან აღმოსავლური ტრადიციების, ჩვეულებების და კულტურის აღწერით (არაბეთში სხვადასხვა მისიით გაგზავნილი ევროპელი თუ ამერიკელი ინტელექტუალები თავიანთ შემოქმედებაში დიდ ადგილს უთმობდნენ დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთმიმართების საკითხებს). გამონაკლისი არც ჯინ სესონია, რომლის დოკუმენტური წიგნიც – „პრინცესას დღიურები“, საუდის არაბეთის პრინცესას ჩადრის ქვეშ გატარებულ, იდუმალებით მოცულ ცხოვრებას აღწერს. ავტორმა, შეიძლება ითქვას, თანამედროვე სამყაროს აღმოსავლურ სინამდვილეში არსებული ადამიანური ტრაგედია მხატვრულ სინამდვილედ აქცია.

რომანი დაწერილია ეპისტოლარულ ჟანრში, რაც XIX საუკუნის დასავლური ლიტერატურისთვის იყო დამახასიათებელი და წინ წამოსწევს არაბეთში ქალთა მდგომარეობის საკითხს. იმ ფონზე კი, როდესაც გლობალიზაციის ჩარჩოებში იზრდება კულტურათა საერთაშორისო დიალოგი, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ამ საკითხზე საჯარო განხილვებს, დისკუსიებსა და კვლევებს, რომლებიც ხალხთა შორის ურთიერთგაგებას ემსახურება. დასავლეთი და აღმოსავლეთი ერთმანეთს განაპირობებს და გამორიცხავს კიდევ. ამ ორი განსხვავებული სივრცის კულტურათა შედარებისა და ანალიზის შედეგად, „დასავლეთს“ დაუკავშირდა კატეგორიები: „დემოკრატია (თავისუფლება, თანასწორობა), მეცნიერული ცოდნა, რაციონალურობა, დინამიზმი, განვითარება, მოდერნიზაცია, ინოვაციურობა, ინდივიდუალიზმი, მსოფლიოს აქტიური ტექნიკურ-ტექნოლოგიური გარდაქმნა და ა.შ. „აღმოსავლეთს“ სხვა ღირებულებები განასახიერებდა: სტაბილურობა, ტრადიციულობა, რიტუალი, დესპო-

ტიზმი, მისტიკა, ინტუიცია, მედიტაცია, უკლასო საზოგადოება“ (კვატაია, 2009, გვ. 189). დასავლეთსა და აღმოსავლეთს ერთმანეთისგან სხვა მრავალ მახასიათებელს შორის, განასხვავებს სამყაროს ხედვა და მასში ადამიანის ადგილის განსაზღვრა. ჩვენთვის კი, ამ შემთხვევაში საინტერესოა, ქალის ყოფა, მისი მდგომარეობა და უფლებები. ქალის მხრიდან ტრადიციების წინააღმდეგ ამხედრება, უსამართლო სამყაროსთან დაპირისპირება აღმოსავლურ სინამდვილეში მკაცრად ისჯება და სიკვდილის თანასწორია, მიუხედავად ამისა, დასავლური სულიერი ღირებულებების და პრინციპების მატარებელი გმირი ბოლომდე იბრძვის და არ კარგავს იმედს, რომ ამ გზით მოიპოვებს ბედნიერებას. ამგვარად, „პრინცესას დღიურები“ აღმოსავლურ სინამდვილეზე აგებული, დასავლური ფასეულობებით გამსჭვალული რომანი გახლავთ, რითაც განსხვავდება აღმოსავლურ მოტივებზე აგებულ სხვა რომანებისგან. აქ აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ აღმოსავლეთით დაინტერესებული მკითხველი, ამ იდუმალ, შორეულ სამყაროს, თანამედროვე არაბი ქალი მწერლების მემშვეობითაც ეცნობა, რომლებიც საოცარი სითამამით წერენ ტაბუდადებულ თემებზე, უფრო მეტიც, „ხშირად მიკროსკოპული სიზუსტით, შესაშური პირდაპირობით წერენ ყველა პრობლემაზე და არცთუ იშვიათად თავიანთი ინტიმური განცდების აღწერასაც არ ერიდებიან“ (დოლიძე, 2013, გვ. 4), თუმცა, ჯინ სესსონის გმირები, საზოგადოების, ოჯახის, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის პრობლემატიკას უფრო მკვეთრად და რეალურ ამბებზე დაყრდნობით წარმოაჩენენ, რასაც მოწმობს მემუარები და ჩანაწერები, რომელსაც აწარმოებდა ჯინ სესსონის მთავარი გმირი რეალურ ცხოვრებაში.

„პრინცესას დღიურები“ დაყოფილია შემდეგ თავებად: „ბავშვობა“, „ოჯახი“, „დაიკო სარა“, „განქორწინება“, „გზის დასასრული“, „მეგობრები“ (იგულისხმება მხოლოდ ქალები), „უცხოელები“ (იგულისხმება მხოლოდ ქალები), „ქორწინება“, „ბნელი საიდუმლოებები“, „მეფის სიკვდილი“, „ქალთა ოთახი“, „მეორე ცოლი“, „ბოლოთქმა“ (წიგნი არ არის ქართულად ნათარგმნი და ეს ცალკეული თავების დასახელება ჩვენეული თარგმანი გახლავთ); გმირი თავის ცხოვრებას პირველ პირში გადმოგვცემს და მოგვითხრობს, თუ რას ნიშნავს არაბეთში ქალად ყოფნა. ქვეცნობიერი შიშით შეპყრობილი არაბი ქალი მართალია, იბადება თავისუფალი, მაგრამ ხელზე მთელი ცხოვრება უხილავი ბორკილები ადევს, მისი ფასი კი როგორც ადამიანისა, რახან ქალია, ნულია. არაბი განმანათლებელი კასიმ ამინი შენიშნავს: „მუსლიმის

თვალში ქალი არ წარმოადგენს ნამდვილ ადამიანს“ (დოლინინა, 1969, გვ. 71). თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დასავლეთთან კონტაქტების გაძლიერებას კორექტივები შეჰქონდა არაბთა ყოფაში, რასაც ადგილი აქვს ამ რომანის შემთხვევაშიც. მართალია, გმირს თავდაპირველად უსამართლობის განცდისას შინაგანი პროტესტი ამოდრავებს, მაგრამ როდესაც საკუთარი თვალით დაინახავს სხვა, აღმოსავლეთის მიღმა არსებულ სინამდვილეში ქალს და მის პრივილეგიებს, კიდევ უფრო მეტად განიმსჭვალება ბრძოლის ჟინით. შეუძლებელია გმირის მთელი ცხოვრება აღვწეროთ, განვიხილავთ მხოლოდ რამდენიმე საკვანძო და მთავარი პერსონაჟისთვის მნიშვნელოვან მომენტებს, რომლებმაც განსაზღვრა შემდგომში მისი განწყობა და დამოკიდებულება სინამდვილის მიმართ.

ბავშვობის წლებს ნაწარმოების გმირი სხვა საინტერესო ეპიზოდებთან ერთად, იმით იხსენებს, თუ როგორ გაარტყა სილა სხვა დროს ნაზმა და მოსიყვარულე დედამ (თორმეტი წლის ასაკში მიათხოვეს სულთანას მამას) ოთხი წლის სულთანას უნებური ქცევისთვის, როდესაც ლოცვის დროს სახე მექას მხარეს კი არ შეაბრუნა, როგორც ამას მამა აკეთებდა, არამედ მისი ექვსი წლის ძმის – ალის მიმართულებით, რადგან მას ღმერთი მისი ძმა ეგონა. ამ უკანასკნელს კი, როგორც ღმერთს, მართლაც ისე ექცეოდნენ, რადგან ის ერთადერთი ვაჟი იყო ათ ქალიშვილს შორის და შიშით დატრიალებდა თავს მთელი ოჯახი, თუ რამე მოუვიდოდა, ჩათვლიდნენ, რომ ეს ღმერთის რისხვა და წყევლაა მათი ოჯახისთვის. აქ საუბარია არა უბრალოდ, ოჯახში ვაჟისადმი გადამეტებულ სიყვარულზე, არამედ, დაბადებიდან მის ზღვარგადასულ პრივილეგიებზე, რომლებიც ყოველმხრივ აკნინებდა და ზღუდავდა სხვების უფლებებს. ძმის მიმართ მშობლების გამორჩეული და განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო, სულთანამ ძმა შეიძულა, რადგან დებთან ერთად ვალდებული იყო თავყვანი ეცა მისთვის. სულთანა ირწმუნება, რომ მათ ქვეყანაში კაცები თავისთავს აღმატებულ არსებად თვლიან და შესაბამისადაც იქცევიან. ჯერ კიდევ ბავშვობაში უნერგავენ ბიჭებს მათი უპირატესობის შესახებ და ასწავლიან, რომ ქალს არავითარი ღირებულება და ფასი არ აქვს და მათი დანიშნულება მხოლოდ მამაკაცზე მომსახურებაა, მისი სურვილების შესრულება. ამგვარად, მათ ოჯახშიც ძალიან მალე ალი გოგონებს უყურებს, როგორც საკუთრების ნაწილს და ნივთს, მოგვიანებით კი მის მიერვე გოგო-შვილი იგნორირებულია, როგორც ამას მამისაგან ხედავდა. მთხრობელის მიხედვით, ქალიშვილის დაბადება ან მისი

სიკვდილი, ოფიციალურად არსად ფიქსირდება, ქალიშვილის გაჩენა კი მაშინვე წარმოშობს სირცხვილისა და მწუხარების გრძნობას.

წარსულზე საუბრისას სულთანაში იღვიძებს უსამართლობისადმი შეუპოვრობით და წინააღმდეგობებით სავსე ბუნება, მთელი არსებითა და გონებით წყურია რა თავისუფლება და თანასწორობა, მტკიცედ სწამს და ხშირად იმეორებს, რომ მართალია ეს ყველაფერი მის ქვეყანაში ხდება, მაგრამ დადგება დრო და ამას ბოლო მოეღება, მას სჯერა, რომ ეს არ შეიძლება გაგრძელდეს სამუდამოდ! ძველი წესები და ტრადიციები უნდა მოისპოს! ფაქტიურად, სულთანას მოწოდება ერთგვარი ამბოხებაა ქვეყნის ადათ-წესების მიმართ და რევოლუციურ იდეებს უტოლდება. მისი ამგვარი პროტესტი დასავლურ ტრადიციებზე აღზრდილ თავისუფალ ადამიანს გვაგონებს, რომელიც არ ეპუება მისი ქვეყნის მიერ დადებულ „ბორკილებს“.

მიუხედავად, იმისა, რომ ნაწარმოების გმირი სამეფო ოჯახიდანაა, არავითარი უპირატესობა და უკეთესი მდგომარეობა, მას როგორც ქალს, ამ თვალსაზრისით არ აქვს, და იგი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ვალდებულია მუდმივად აიტანოს ყოველგვარი დამცირება: იქნება ეს მამის მიერ ქალიშვილების იგნორირება, ძმის ხშირი დაცინვა, თუ ქმრის შეურაცხყოფა. დღიურებს, კი რომელიც მან თერთმეტი წლის ასაკიდან შექმნა და სინამდვილეს აღწერს, მისი აზრით, უნდა გაეცნოს მთელი მსოფლიო. ამიტომაც თხოვს ნაწარმოების ავტორს, რომ მისი ნაამბობი მხატვრულ სინამდვილედ აქციოს და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ გზით მიაწვდინოს ხმა მსოფლიოს, რადგან ამის გაკეთება მის ქვეყანაში სასტიკად აკრძალულია.

თხრობისას, და-ძმის ურთიერთობის ეპიზოდებიდან, გავიხსენებთ ერთ-ერთს, რომელმაც განსაზღვრა შემდგომში და გამოკვეთა სულთანას, როგორც ამბოხებული გმირის თვისებები, გააპროტესტოს და წინ აღუდგეს უსამართლობას: როდესაც პატარა სულთანა გემრიელად მიირთმევს წითლად ღაჟღაჟა ვაშლს, ალი (სულთანას ძმა) კი დაჟინებით თხოვს დაუყოვნებლივ მისცეს, არ უთმობს. მიუხედავად, იმისა, რომ მშვენივრად იცის ამისთვის სათანადოდ დაისჯება, მაინც არ აძლევს და უფრო მეტიც, მამის წინაშე თავის გამართლებასაც ბედავს, რაც დიდი გაოცების და მკაცრად დასჯის საფუძველი ხდება. ამგვარი საქციელი, სულთანას მხრიდან ყოვლად მოულოდნელი და წარმოუდგენელი იყო მამისთვის. ყველაფერი საუკეთესო ხომ ძმას და მამაკაცს ეკუთვნის ოჯახში! სულთანას ამ საქციელის გამო ფიზიკურად უსწორდებიან, გარდა ამისა, იმ დღიდან ძმის ულუფიდან მორჩე-

ნილ საკვებს ღებულობს მხოლოდ და თითქმის მშვიერი იძინებს, რადგან ძმა თითქმის არაფერს უტოვებს და ეს გრძელდება მანამ, სანამ ალის არ მოხეზრდება და არ დაივიწყებს ამ შემთხვევას. ასევე ამაღლებელია სცენა, როდესაც ახირების გამო, მოძალადე ძმა დებს პატარა ლევს ართმევს, ერთადერთ გასართობს, რომელსაც დები სიხარულით ასეირნებდნენ, ძმა კი არაფრად აგდებს, მათ ცრემლსა და მუდარას, დაუბრუნონ ლევს. მოხეზრებულ ლევს კი ალი მოგვიანებით ავტომობილიდან მოისვრის. სწორედ ამ შემთხვევების შემდეგ გადაიქცევა შვიდი წლის სულთანასთვის ძმა მტრად, თუმცა, იმ დღიდან მოყოლებული, არ კარგავს ოპტიმიზმს და სჯერა, რომ აუცილებლად შეიცვლება ყველაფერი.

ადმოსავლური სტილით აგებული სახლის აღწერისას სულთანა, ხაზს უსვამს შიშისმომგვრელ კორიდორებს, მდიდრულ, მაგრამ ჩაბნელებულ ოთახებს, სადაც თვითონ და მისი დები ცხოვრობდნენ. მათ ეკრძალებოდათ მეორე სართულზე ასვლა, სადაც მისი ძმა და ძმა ცხოვრობდნენ.

მამის განსაკუთრებული, გამორჩეული დამოკიდებულება ძმის მიმართ და დესპოტურობა ოჯახში ქალთა მიმართ, არაერთ ეპიზოდში იკვეთება, რაც ალის ნებისმიერი სურვილის ასრულებაში, მხოლოდ მისთვის ძვირფასი ნივთების ჩუქებაში, ხოლო ქალთა მიმართ ყოველგვარ გულგრილობაში გამოიხატება. ერთადერთი რაშიც სულთანას დედამ თანხმობას მიაღწია, ეს გოგონების განათლება იყო, თუმცა მათი წარმატებები ნაკლებად ახარებდა მამას, მისთვის მნიშვნელოვანი მხოლოდ ალის წარმატება იყო.

საკუთარ თავზე საუბრისას ნაწარმოების გმირი ხაზს უსვამს, რომ მას ჯიუტი (ეს თვისება ძირითადად, თავს იჩენს, როდესაც მას ავიწროებენ), დაუდგრომელი ხასიათი და ცელქი ბუნება ჰქონდა, რის გამოც ოჯახში რთულ ბავშვად მიიჩნევდნენ. მიუხედავად იმისა, რომ იგი ფიზიკურად სუსტი და პატარა იყო, ყოველნაირად ამართლებდა „რთული ბავშვის“ სახელს, და ეს უმთავრესად, უნდა ითქვას, გამოიხატება არა უბრალოდ ბავშვურ სიანცეში, არამედ, იმთავითვე გააზრებულ, შეუვალ პროტესტში, რომელიც წლების მატებასთან ერთად იზრდებოდა და რა თქმა უნდა დაკავშირებული იყო ქალის შეზღუდულ, დამამცირებელ, უსამართლო მდგომარეობასთან, რაც მას ძლიერ აახლოებს სხვა, უფლებებისთვის და თავისუფლებისთვის მეზრდოლ ქალ პერსონაჟებს დასავლურ სამყაროში. აქ, ალბათ, უპრიანია,

ავტორის ხმაც გამოვყოთ, რომელიც თითქოს უხილავია, მაგრამ გმირს თავდაჯერებულობას და მარცხთან შეუგუებლობის განცდას ჰმატებს.

გულისტკივილითა და დისადმი უსაზღვრო თანაგრძნობით იხსენებს ნაწარმოების გმირი დის, სარას გათხოვების ამბავს, რომელიც მეთექვსმეტე დაბადების დღის აღნიშვნისას, დედისაგან მამის სარფიანი გადაწყვეტილების შესახებ იგებს: სარა სამოცდასამი წლის მდიდარ და სამეფო ოჯახის გავლენიან წარმომადგენელს, მესამე ცოლად უნდა გაჰყოლოდა. მამაზე მუხლმოდრეკით მუდარამ ვერ გასჭრა. პირიქით, დედას უბრძანა, გოგო მოეთვიანიერებინათ, პროტესტის ნიშნად კი, განაცხადა, რომ მათთან კარგ ხანს აღარ შეივლიდა, და უფრო მეტ დროს დანარჩენ ცოლებთან გაატარებდა. ქორწინება სარასთვის ჯოჯოხეთად იქცა, ხოლო სულთანას ჰქონდა შეგრძნება, რომ სარა გარდაიცვალა. რამდენიმე კვირის შემდეგ სარას მოწამვლის შესახებ მოვიდა შეტყობინება, სარას სადისტი ქმრის გამო თავის მოკვლა უცდია. დედა პირველად შეეწინააღმდეგა ქმარს და ხმა აიმაღლა, თუ ისევ იმ ოჯახში დააბრუნებდა, სადაც სარას სასტიკად ექცეოდნენ, მეფესთან და სასულიერო პირთან დაასმენდა. მუქარამ გაჭრა და სარა ქორწინების უღლისაგან გათავისუფლდა: ქმარმა, რომელსაც არც ერთხელ არ მოუკითხავს სარას მდგომარეობა საავადმყოფოში, მხოლოდ სამჯერ წარმოთქვა, რომ ის ეყრება და საქმეც დამთავრდა. ამ შემთხვევამ სულთანაში ბრძოლისუნარიანობა კიდევ უფრო გაზარდა, იმედი გაუღვიძა და უსამართლობისადმი ბრძოლის სურვილი გააასმაგა. მას კიდევ უფრო გამბედავი ბუნება გაუხდა.

დებს შორის უფროსის, ნურას ქორწინება, ყველაზე იღბლიანი აღმოჩნდა, რაც ქმრის, მის მიმართ ადამიანურ დამოკიდებულებაში გამოიხატება. მოგვიანებით, სარა და სულთანა მას სამოგზაუროდ მიჰყავს, რათა სარა დეპრესიული მდგომარეობიდან გამოიყვანოს, თუმცა, ქაიროში ნანახმა გოგონებს თავზარი დასცა, როდესაც უნებლიედ შეესწრნენ ძმის, ალის და მისი მაგობრის ჰადის (თავს დებდა მორწმუნეობაზე) ძალადობას 8 წლის გოგონაზე, რამაც რა თქმა უნდა აღშფოთება გამოიწვია, თუმცა, მოგვიანებით მათთვის ცნობილი გახდა, რომ მათ ეს ნებადართული ჰქონდათ მამისაგან. ქვეყნის და ადათ-წესების მიმართ კიდევ უფრო ძლიერდება სულთანას პროტესტი, რაც ბრძოლის სურვილს კიდევ უფრო აღვივებდა და აღრმავებდა. ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა ქალისადმი უსამართლო დამოკიდებულებამ, სულთანას მეგობრის ნადიას შემთხვევაში, როდესაც ამ უკანასკნელს, საკუთარმა მამამ დახრჩობის განაჩენი გამოუტანა საკუთარივე აუზში,

იმის გამო, რომ ზოგჯერ უცხო მამაკაცს ხვდებოდა. აღარაფერს ვამბობთ, წიგნის მიხედვით, ქალთა დაწინდვის იმ სცენებზე, რომლებიც რბილად რომ ვთქვათ, შეურაცხმყოფელია ადამიანისთვის და საბოლოოდ კლავს ქალურობას და სიცოცხლის ინტერესს ქალში. გასაგებია, ვინც ბრმად, ან სურვილის მიხედვით ემორჩილება მსგავს ტრადიციებს თუ კანონებს, მაგრამ ვისაც არ სურს და ემიჯნება წარსულის ამ წესს, ის როგორ უნდა მოიქცეს? როგორ უნდა დაიცვას თავი? როგორ უნდა დაიხსნას თავი იმ საზოგადოებისაგან, რომელიც მარწყუხებში აქცევს?

როგორც ვხედავთ, მთავარი გმირი არსებითად ემიჯნება მისი ქვეყნის ადათ-წესებს და ფასეულობებს, რაც იმითაა განპირობებული, რომ პერიოდულად მას ჰქონდა საშუალება ენახა ცხოვრება ევროპის (და არა მხოლოდ) ქვეყნებში, და ამდენად, მთავარი გმირი ორი კულტურის – აღმოსავლურისა და დასავლურის შეხვედრის ცენტრშია, ის აღზრდილია ტრადიციულ მუსლიმურ ოჯახში, განათლების მიღების და ევროპაში მოგზაურობის შემდეგ, კი დასავლურ ფასეულობათა შეჯახების დროს სულიერ კრიზისს განიცდის. ნაწარმოების ბოლოს გმირი გაორებულია, თითქოს ტრანსფორმირდება და წლების შემდეგ შეცვლილი ადამიანი ხდება. ევროპულ ცივილიზაციასა და კულტურულ ტრადიციებს ნაზიარები სულთანა სამშობლოში თავს უცხოდ გრძნობს, მისი იდენტიფიკაციის კრიზისი კიდევ უფრო მწვავედება. შედეგად ეგზისტენციალიზმით შეპყრობილი სულთანა, სასოწარკვეთილი ფიქრობს, რა ელის მის ქვეყანაში ქალს? ვინ მიანიჭებს მას იმ თავისუფლებას და უფლებებს, რასაც მთელი ცხოვრება ასე ნატრობდა? საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სულთანა ისევ თანამშრომლობს წიგნის ავტორთან, რასაც მოწმობს შემდეგი პუბლიცისტიკა „პრინცესას ქალიშვილები“, „თანამეგობრობა სულთანასთან“. ჯინ სესონის თითქმის ყველა დასახელებული რომანი და ასევე „მაიადა, ერაყის შვილი“, წინ წამოსწევს პრობლემას – ქალის მდგომარეობა სოციუმსა და ოჯახში, რაც იყო, არის და რჩება ერთ-ერთ სერიოზულ, მნიშვნელოვან პრობლემად. ავტორი და მასთან ერთად მკითხველიც, ცხადია, სოლიდარობას უცხადებს ყველა იმ ქალს, ვისაც სულთანას მსგავსი ან კიდევ უფრო უარესი ყოფა აქვს და ვინც ოცნებობს თავისუფალ, ბედნიერ ცხოვრებაზე.

ამგვარად, ამერიკელმა მწერალმა, მიმართა რა აღმოსავლურ მოტივებს, წარმოაჩინა დასავლური ფასეულობების მატარებელი ძლიერი სულისკვეთების მქონე გმირის ცხოვრება, რომელიც ფარდას

ხდის იმ მნიშვნელოვან პრობლემებს, რაც არც დასავლეთისთვის, და მითუმეტეს აღმოსავლეთისთვის უცხო არ არის. დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ერთ-ერთი მკვლევარი აღნიშნავს, რაც არ უნდა ბევრი ვიცოდეთ არაბული ქვეყნების პოლიტიკის, გეოგრაფიის, ისტორიისა თუ კულტურის შესახებ, რაც არ უნდა უხვ ინფორმაციას ვფლობდეთ მის წარსულსა თუ თანამედროვეობაზე, მაინც ვერ დავინახავთ ამ სამყაროს ისე შიგნიდან და ისეთი სისავსით, როგორც ეს მხატვრულ ლიტერატურაში, თარგმანებშია შესაძლებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- დაიმი, თ. (2018). „აღმოსავლეთის ძიებაში“ (მთარგმნელი კოტრიკაძე თამარ), მოძიებულია 6 ნოემბერი, <http://www.biblioteka.litklubi.ge/print.php?id=8360>
- დოლიძე, ნ. (30 მაისი, 2013) „თანამედროვე არაბი მწერალი ქალები“, მოძიებულია 7 ნოემბერი, 2018. https://www.tsu.ge/data/image_db_innova/tanamedrovearabimtseraliqalebi.pdf
- კვატაია, მ. (2009). „დასავლეთ-აღმოსავლეთის პარადიგმატიკა და გრიგოლ რობაქიძე“, ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები, II საერთაშორისო სიმპოზიუმი, ნაწილი I, თბილისი.
- სურმავა, ნ. (2017). „აღმოსავლეთ-დასავლეთის შეხვედრის თემა მე-20 საუკუნის არაბულ ლიტერატურაში (1935-1966)“, მოძიებულია 14 ნოემბერი, 2018. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/11/114>
- წერეთელი, ი., კაკიტელაშვილი, ქ. (2006). „კულტურა და მოდერნიზაცია“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი.
- ჯალიაშვილი, მაია (2 მაისი, 2018) „აღმოსავლეთი და დასავლეთი გრიგოლ რობაქიძის თვალთ“, მოძიებულია 20 ნოემბერი, 2018. <http://mastsavlebeli.ge/?p=17868>
- ჰანგთინგტონი, სემუელ. (1997). „ცივილიზაციათა შეჯახება“, თბილისი.
- Долинина А.А. (1968). „Очерки истории арабской литературы нового времени“ (Египет и Сирия), Москва.
- Сэссон, Джин. (2002). „Принцесса“, Правдивая история жизни под чадрой в Саудовской Аравии, Москва: „Русич“.
- Сэссон, Джин. (2009). „Мемуары принцессы“, 2, Дочери Султаны, Москва: „Амфора“.
- Сэссон, Джин. (2010). „Майада“ Дочь Ирака, Москва: „Амфора“.
- Сэссон, Джин. (2013). „Мемуары принцессы“, 3, Содружество Султаны, Москва: „Амфора“.

References:

- Daimi, E. (2018, November 6). *Aghmosavletis dziebashi* [In search of the East] (T. Kotrikadze, Trans.). Retrieved from <http://www.biblioteka.litklubi.ge/print.php?id=8360>
- Dolidze, N. (2013, May 30). *Tanamedrove arabi mts'erali kalebi* [Modern Arab women writers]. Retrieved November 7, 2018, from https://www.tsu.ge/data/image_db_innova/tanamedrovearabimtseraliqalebi.pdf
- Dolinina, A. A. (1968). *Ocherki istorii arabskoy literatury novogo vremeni (Yegipet i Siriya)* [Essays on the history of Arabic literature of modern times (Egypt and Syria)]. Moskva.
- Hangtingtoni, S. (1997). *Tsivilizatsiata shejakheba* [Clash of Civilizations]. Tbilisi.
- Jaliashvili, M. (2018, May 2). *Aghmosavleti da dasavleti Grigol Robakidzis tvalit* [East and West through the eyes of Grigol Robakidze]. Retrieved November 20, 2018, from <http://mastsavlebeli.ge/?p=17868>
- Kvataia, M. (2009). *Dasavlet-aghmosavletis paradigmatika da Grigol Robakidze* [Western-Eastern paradigmatics and Grigol Robakidze]. In *Lit'erat'uratsmsodneobis tanamedrove p'roblemebi* (II International Symposium, Part I). Tbilisi.
- Surmava, N. (2017). *Aghmosavlet-dasavletis shekhvedris tema me-20 sauk'unis arabul lit'erat'urashi (1935-1966)* [The East-West encounter theme in 20th-century Arabic literature (1935-1966)]. Retrieved November 14, 2018, from <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/11/114>
- Sesson, D. (2002). *Printsessa: Pravdivaya istoriya zhizni pod chadroy v Saudovskoy Aravii* [Princess: The true story of life under the veil in Saudi Arabia]. Moskva: Rusich.
- Sesson, D. (2009). *Memuary printsessy, 2: Docheri Sultany* [Memoirs of a Princess, 2: Sultana's Daughters]. Moskva: Amfora.
- Sesson, D. (2010). *Mayada: Doch' Iraka* [Mayada: Daughter of Iraq]. Moskva: Amfora.
- Sesson, D. (2013). *Memuary printsessy, 3: Sodruzhestvo Sultany* [Memoirs of a Princess, 3: Commonwealth of Sultanas]. Moskva: Amfora.
- Tsereteli, I., & Kakitelashvili, K. (2006). *K'ult'ura da modernizatsia* [Culture and modernization]. Sotsialur Metsnierebata Tsent'ri.